ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მესამე თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია ქუთაისის საქალაქო, ბაღდათის, წყალტუბოს და ტყიბულის მაგისტრატ სასამართლოებში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეები: კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი ეკატერინე აბესაძე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სასამართლოს მენეჯერი, საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - ანა ადამია.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, ბაღდათის, წყალტუბოს და ტყიბულის მაგისტრატ სასამართლოებში საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს: მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების ინფორმაციის მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლოს საქმეების გაცნობას და ა.შ.

2023 წლის განმავლობაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა **234** განცხადება, მათ შორის: **29** მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად, **192** განცხადება არ დაკმაყოფილდა, ხოლო, **12** განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. **1** შემთხვევაში ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე განცხადება გადაგზავნილი იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერისა და კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსის მიერ.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებებზე პასუხების გაცემა მოხდა წერილობითი სახით ან ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში არ შემოსულა. საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შემოვიდა ერთი საჩივარი, რომელიც არ დაკმაყოფილდა, აღნიშნული გადაწყვეტილება სასარჩელო წესით არ გასაჩივრებულა.

საჯარო მოსამსახურის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გახსნილი აქვს საკუთარი ინტერნეტ-ვებგვერდი - **www.court.ge**, რომლის საინფორმაციო მომსახურებით სარგებლობს მომხმარებელი.

პატივისცემით,

ანა ადამია Ana Adamia 60001143410 Digitally signed by Ana Adamia Date: 2024.01.12 12:13:56 +04'00'

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი